საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №9

2026 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო დისციპლინის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 5 მარტის №33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო დისციპლინის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 5 მარტის №33 ბრძანებაში (ვებგვერდი, 11/03/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120050000.22.026.017210) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით გაიცემა, ამ წესის მე-2 მუხლის:

ა) „ა“, „ბ“ „გ“ „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე ფულადი ჯილდო;

ბ) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისთვის ფულადი ან/და მატერიალური წახალისება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**